

გივი გელაშვილი

ნოტი  
სუბრუმას

ՅԱՅ(UDC) 821.353. 1-1 Ծ-296

ՐԵՖԱՔՏՈՐԻ ՀԼԱՐՁ ՑԵԼԱՇՅՈԼՈ


ԹԵԱՅՅԱՐՈ ՀԱՆՈՒՄ ԹՎԹԱՇՅՈԼՈ

ISBN 978-9941-0-1782-7

წინამდებარე წიგნი გიგი  
გელაშვილის მეორე პოეტური  
კრებულია.

აქ, ამ თხელი ყდის ქვეშ,  
მკითხველის მოლოდინში გატრუნულან  
მისი სულით ნაძერწი სრტიქონები. და  
თუ, ცხოვრება ერთი წამია, მაშ ნახეთ  
წამში ჩატევლი წლები, წუთები. . .

რედაქტორი.



**G**ivi  
elashvili

„TUNE OF LOVE”

The presented book is the second poetic collection of Givi Gelashvili.

Here, under the thin cover, we'll be able  
to read the lines, created by his soul.

And if the life is a moment, let us see  
the moment which all the life.

Editor  
Klara gelasgvili



ბოროტი არ ვარ, არც ანგელოსი,  
არც სხვებზე ბრძენი, სხვებზე ჭკვიანი,  
უბრალოდ, – ჩემებრ ვცდილობდი მუდამ –  
ვყოფილიყავი ადამიანი.

ვცდილობდი მუდამ არვისთვის მევნო,  
ვცდილობდი სხვებსაც არ დავეჩაგრე,  
მაგრამ ბუნებას ადამის მოდგმის  
ვერავინ შეცვლის ადვილად, ეგრე.

კაცთა უტყვ ზრახვებს ნიღბები ფარავს  
ზოგჯერ მწვევია მეც გაორება,  
ხშირად ცხოველურ ინსტიქტებს ტიალს  
გადაყოლია ჩვენი ცხოვრება.



## ციხის ბალადა

სასჯელმოხდილი მამიდაშვილი მეგობართან  
ერთად გვეწვია ოჯახში. კარებში ძლივს  
შემოეტია ორმეტრიანი ვაჟკაცი. იგი ციხის  
მეგობარი აღმოჩნდა. პურობისას მან ტკივილიანი  
თავგადასავალი გვიამბო.

ცივია, გლუვი და ნაცრისფერი  
რკინა-ბეტონი, კედლები ციხის;  
აქ არ ამწყვდევენ დედიკოს ბიჭებს  
და არც გარეულ, მტაცებელ მხეცებს,  
არც წარმოდგენებს მართავენ დამის  
და თიხით ნაზელს ვერ ნახავ ვერცერთს!

აქ ისინია, ვინც ნადდ საქმეზე  
უჭახუნებდნენ სუფრაზე ჭიქებს,  
ვინც რისკის ფასად სიცოცხლეს თმობდნენ,  
ვინც არ ბადებდნენ საქმეში იჭვებს,  
ვინც ბალას ფლობდნენ და ნებისყოფას  
ქუჩის ბინადართ მკაცრ, უტებ ბიჭებს.



პირქუში აკრავს და ადევს კლიტე  
ქურდების საკნის ჟანგისფერ კარებს,  
აქ რიგრიგობით დგანან სარკმელთან  
და შორით მზერენ გადაშლილ არეს,  
სად მიიღობიან მოგონებებით  
ბავშვობის ცისფერ და მზიან მხარეს.

ქურდებთან ერთად აქ ზის საკანში  
ვაჟკაცი ერთი, ბრგე ვით შავი კლდე,  
აქ მის გარშემო ჩქამს არ არღვევენ  
ყური აბია, ჭერს, ყველა კედელს, –  
ყველა კარიბჭეს, კუთხეს და კუნჭულს –  
ყველა მუდრები საკბილოს ეძებს!

გზას გაჟყვა მრუდეს და გაუკვალავს,  
საბედისწეროდ რომ ექცა მრავალს,  
თუმც იძულება უსწრებს არჩევანს  
და სახიფათო დღეებიც ახლავს.  
აქ არ ითვლიან ჭადრაკის მსგავსად,  
სვლებს უხიფათოს, – ყველაზე მთავარს.



„შიმშილს გამოჰყავს ნადირი ტყიდან”  
კაცს მხეცად აქცევს დრო—ჟამი ავი,  
ცხოველიც ცდილობს ხელთ იგდოს სარჩო  
გადაირჩინოს როგორმე თავი.  
როს გაჭირვება თავს და გზას გიბნევს  
რითი უშველი გულს რომ დრნის დარდი?!

სახლ-კარს იგონებს და მოხუც გამზრდელს  
ობოლს ნუგეშად, შემწედ რომ ჰყავდა,  
ვინც მის სახელზე ანთებდა სანთელს  
ვისაც ნაღველი გულ-გვამს უწვავდა,  
ყოველი წუთი მისი ცხოვრების  
მოჩვენებას და დამეს რომ გავდა!

კანონის ძალით აქ იხდის სასჯელს  
დღეები მიდის დარდის მომგვრელი,  
კიდევ ერთ სასჯელს უმზადებს ბედი –  
სიკვდილს გაიგებს მოხუც გამზრდელის!  
თუ სამართალი არსებობს დმურთო,  
ერთ კაცს რად ერგო წილად ამდენი?!



ციხის უფროსთან წერილს აგზავნის  
თხოვნას ერთ კეთილ ნადზორს ავალებს,  
იცნობს აქ ყველა მამაძალლს, ოხერს,  
ყველა გამცემ ძალლს, ყველა დალალებს,  
ყველა სართულის საფეხურებს და  
ციხის ჯურდმულის შავ-ბნელ ტალანებს.

არზა მიართვეს დღეს ციხის უფროსს  
კითხულობს წერილს ციხის პატიმრის;  
მოხუც გამზრდელის დასატირებლად  
სამ დღეს რომ ითხოვს ხვეწნა მუდარით,  
მაგრამ ცრემლები გულს ვერ მოულბობს  
მის გულს ფერი აქვს შავი სუდარის!

თუმც კარგად იცის უარს ეტყვიან  
მისი ბედის გზა ასე ჭრის მუდამ,  
უილაჯობას რა უყოს თორემ  
სარკმლის გისოსებს კბილით გაღუნავს!..  
გამწარებული ლომის ღრიალით  
ბუმბერაზ მკლავებს რისხით დამუშტავს.



წყევლას უგზავნის ამ ქვეყნად ყველას  
მაგინებელი - საკუთარ ბედის,  
აღარ ყავს ქვეყნად ტკბილი მოხუცი,  
სამაგიერო ძვირფასი დედის;  
თუმც არ სჩვევია წუწუნი, ვიში,  
ვაჟკაცს უსიტყვოს და ამტანს, ხვედრის!

მეგობრებმა კი სხვა გზა მონახეს,  
ერთურთს ძმობას რომ გულით ფიცავდნენ,  
ლუპმას რომ ჭირში ძმურად იყოფდნენ  
და ქურდულ ნამუსს მკაცრად იცავდნენ,  
ბაგშვობის ლამაზ უდარდელ გზებზე  
ძმობის ბილიკებს ერთად კეცავდნენ.

ციხის ციცაბო კედლის მახლობლად  
ერთი პატარა მოლი მონახეს,  
იქ დაასვენეს მოხუცის კუბო!..  
მწვანედ ბიბინებს ციხის ამ მხრიდან...  
გამზრდელს შორიდან ყვავილის ნაცვლად  
გულდამდუღრული ცრემლებს აყრიდა!



არავინ იცის ცხოვრების გზაზე  
ვის რა ერგება ბედის სკივრიდან,  
აბა, ცრემლები ჯერ ვის რგებია  
ციხის სარკმელის გისოსებიდან  
და პატიმრების სახე ნუგეშად, –  
ციხის კედლების ყველა სარკმლიდან?!

მოხუცს ციხიდან დაემშვიდობა,  
გულით იტირა, თვალით ეფერა,  
შავად მოსჩანდა მთელი მიდამო  
მზე იყო მწუხარის და მარხვის კვირა;  
ცრემლით იგლოვა ტქბილი გამზრდელი –  
სიცოცხლე ქვეყნად არ დირდა ჩირად!

ასწიეს კუბო წაიღეს ციცმციმ  
და პროცესია ნელა ვიდოდა,  
მწუხარის ლეხაქი ემოსა ზეცას  
სიოც აქ თითქოს ჩუმად კვნესოდა,  
გადაძახილი ისმოდა რაღაც  
ციხის სევდიან ქონგურებიდან.



თითქოს დამთავრდა სიცოცხლე მისი,  
თითქოს ცხოვრების დასარულს ხვდება,  
რისთვის დირს ნეტავ ქვეყნად ცხოვრება,  
როცა შენს ირგვლივ ნათელი ქვრება?!  
იქ მეგობრები ჭიქას ასწევენ,  
თვითონ აქ, საკნის კარს მიეგდება!

რა ვთქვა იმათზე ვინც ქმნის კანონებს,  
ვინც ამ ქვეყანას უკუღმა მართავს,  
ვინც არ დაგიდევს ხვალის ბედს კაცის,  
ვინც თავის კისრის საბელებს ართავს,  
ვინც დვთის კანონებს არარად აგდებს  
ვინც დებს სიცოცხლეს, კანონის სართად.

ვინ იცის, ვინ სჯის, რა არის სწორი,  
რა არის ქვეყნად უკუღმა-წაღმა?  
ვინ მართავს იღბალს ან ბედისწერას  
ჩვენი ცხოვრების გზებს რომ შლის, ნიღბავს,  
ფიქრი კი მიდის, მიედინება  
იქ, დასალიერს, სამყაროს მიღმა!

1972 წელი



## სამშობლო

შენი წყლულები მტკივა,  
შენი დაჭრილი მკერდი,  
სალოცავი ხარ, ხატი  
და საფიცარი ერთი!  
რა გამაჩნია ნეტავ  
ძვირფასო, უფრო მეტი?!  
შენ მეგულები ქვეყნად  
მფარველი, როგორც ღმერთი.  
მიწა ვარ, შენი მიწა,  
შენი ღორდი და მტვერი,  
შენთვის მაცოცხლა, მომკლა –  
არაფერი მსურს მეტი!

2003 წელი



## გადახვეწილ ქართველებს

ოუმც გაექციო სამშობლოს,  
ბედი კი მისი გაწუხებთ,  
ვერც თქვენს თავს დაემალებით  
ვერც დროის მძიმე მარწუხებს.  
გაორებული შვილები  
სადღაც სენდვიჩებს სანსლავენ,  
მშობლიურ მიწის სანაცვლოდ  
უცხო მიწაში ჩაგფლავენ.  
სამშობლოს თუ თმობ, რა გრჩება,  
რისთვის ვართ, ნეტავ, ვიცოდეთ,  
ამ მართლა წუთისოფელში  
რისთვის დირს ჩვენი სიცოცხლე?!

2008 წელი.



### ყველა მიყვარდით

ვინც სულს ნათელი მომაგება  
და ვინც მმოძღვრავდით,  
ვინც გზა მიჩვენა ბასრი ეპლით,  
ზოგმა ვარდებით,  
ყველას გლოცავთ და გეფერებით  
ყველას გენდობით,  
არვინ არ მძულდა, არვის მშურდა,  
ყველა მიყვერდით.



## მადლობა სიყვარულისთვის

გ . . . ს

მადლობა სიყვარულისთვის,  
დღეების, მწერის ურიცხვის,  
მადლობა ჩემო ძვირფასო,  
ჩემი ასეთი მარცხისთვის.  
მადლობელი ვარ იმ დარდის,  
იმ ცრემლების და სინაზის,  
რომლის ტალღებმა წამიღო –  
ჩვენი ცხოვრების მდინარის.  
მადლობა იმ მზის შუქისთვის,  
სულს რითაც ჩაწედი ძირამდის,  
რითაც მივენდე სიყვარულს,  
რითაც სულს ასე უყვარდი!



## მოძმეთა ცხოვრება

შემოვლას მოგრჩით სოფლების  
დღე რომ მთის წვერზე სულს ლევდა,  
ამ სახლებიდან რა სევდა,  
ო, რა ტკიფილი მიმზერდა!  
შენი დარდი და ნაღველი  
მოგეჩვენება მცირედა,  
ჩვენი მოძმეთა ცხოვრება  
კაცის გულს აატირებდა.


2009 წელი.



## სიმკაცრე

ვით გაზაფხულზე  
ნაზ სათუთ ყლორტებს,  
წვავს, აზრობს ყინვა  
და სუსხი ზამთრის,  
ისე კლავს იმედს,  
ისე კლავს რწმენას,  
უნაზეს გრძნობებს –  
სიმკაცრე კაცის.

1990 წელი.



\* \* \*

შიმშილისაგან,  
ქართველი დედა,  
მათხოვარი და  
მეძავი ხდება,  
საშოვარისთვის  
გარეთ გასული  
სხვისი საკბილო  
და კერძი ხდება.

2005 წელი.



## ცისკენ წაიღო ციცქციმ

დრომ ინაცვალა რაც მქონდა,  
ყველა წამართვა წლებმა,  
წაიღო ციმციმ, ცისკენ,  
დროის ბუმბულა ფრთებმა.

2006 წელი

## ნოტი სიყვარულისა



### გუძღვნი მ . . . ს

რითიც მოვედი  
გიცხოვრე დღემდე  
და კისაც გუნთე  
ლოცვით სანთელი,  
ის გულის სითბო  
გინატრე ბევრჯერ  
დმერთო, რამდენი  
დამრჩა სათქმელი!  
როგორ მარტო ვარ,  
რა მეშველება,  
სად გაიყარა  
ნეტავ ის გზები?!  
რა უიმედოდ,  
რა გულის ფეთქვით  
ვწერე რამდენი შენზე-ლექსები!

2007 წელი.



## დამის სიზმარი

დამის სიზმარი, – ერთი დამის  
წუთისოფელი,  
ისიც ფიქრიან დღეთა ბრუნვა  
მოთქმა და ზარი,  
ყველგან სიყალბე, შური, მრტობა,  
დგთაება ფულის,  
მე კი ღიმილს და სითბოს ვითხოვ  
დაღლილი მგზავრი.

1990 წელი.



## 6. მარტინენკოს

შენ ხარ, შენ ერთადერთი  
ვისზეც დარდი მკლავს ძველი,  
ვისაც ვაჩუქა გული,  
ვისაც ვნატრობ და ველი.  
მას მერე რაც წახვედი  
გიცდი და სულ შენ გელი,  
ნეტავ მეღირსოს, გნახო  
გული რომ შემრჩეს მთელი!

1981 წელი.



ღრუბლებო, საით მიდიხარო . . .

ღრუბლებო, საით მიდიხარო  
მოთქმით ცრემლების თქეშითა?  
გულამოსკვნილი ვის იგლოვთ,  
მწუხარო, ცრემლები გშვენითა.  
ვინ არის დირსი ცრემლების  
ვის დარდს და ნადველს ზიარებთ,  
იქნებ სამშობლოს დასტირით  
მის მოურჩენელ იარებს?!

1994 წელი.

## სამშობლო



გეალერსები.  
სულ გეფერები  
ჩემო ლამაზო,  
ჩემო ნაქარგო,  
შენ შემოგყურებ,  
როგორც სალოცავს  
როგორ არ მინდა  
შენ რომ დაგპარგო!..  
მითხარი მაინც  
შენი შემყურე  
გული რომ კვნესის,  
როგორ დავაცხრო?!  
როგორც სალოცავს  
შენ შემოგყურებ –  
სულ მეშინია,  
რომ არ დაგპარგო!

1997 წელი.



## ლუპა და დედა

ნიშნა, ნიშნა, ბარბალუკა  
გამოიქვეც ბიჭო, ლუკა,  
მოდი გულში ჩამეკარი,  
ჩემო ციცქნა, ნუშის კურკა.  
ჩქარა ბიჭო, ნუ მაწვალებ  
სულ ხარ ციდა, ერთი ფუთა,  
ჩემო ანცო, ჩემო გიჟო,  
ჩემო სიყვარულის გუდა.  
მე რომ გპოცნი, გეფერები,  
დამიბრუნე ბიჭო, ხურდა,  
მომეხვივ, აი ასე,  
დედას, აი, ასე უნდა!

2001 წელი.

## გულის პასუხი

მ . . . ს



ჩემთან, რამდენჯერ  
დღისით და დამით,  
გაუთევია  
საწოლში დარდსო,  
სიტყვა, რამდენჯერ  
კაცს რომ კლავს წამსგვე,  
შემოუთვლია  
საყვარელ ქალსო.  
ბევრჯერ ვიფიქრებ:  
როგორ მოვიქცე,  
რა ვქნა, რა ვუთხრა  
საყვარელ ქალსო?  
გულმა წუხილით,  
ჩურჩულით მითხრა:  
სუ, – ნურას იტყვი,  
რა ვქნა, მიყვარსო !..


2005 წელი.



## სინათლისაკენ

სინათლისაკენ მივისწრაფვი  
პეპელასავით,  
რადგანაც ვგრძნობ რომ სინათლეა  
სიცოცხლის წყარო,  
ხალხო ნათელო, ამ სამყაროს  
თქვენი მზე ათბობს,  
სიცოცხლის ხერგი მზეს ამოჰყავს  
და მზეში ხარობს.

2001 წ.



## როგორ გიშველო

ზოგი გაქცევას ცდილობს,  
ზოგი თავს იხრჩობს თოკით,  
ზოგი საწამლავს ირჩევს  
თავს იკლავს ზოგი თოფით.  
ზოგი სეირნობს, ოხრობს,  
ზოგი მუდმივად ომობს,  
ზოგი თავს ირჩენს შრომით,  
ზოგი ცრემლებს დვრის, გლოვობს.  
შიმშილით კვდება ზოგი,  
ზოგი კი ისევ დორობს,  
ნაგავს რომ ქექენ ბალდნი  
ეს ავიტანო როგორ?!  
სამშობლო, ჩემო ლამაზო,  
ცხინვალო, ქართლო, გორო,  
ამდენ მტერს რით გავუმკლავდე,  
როგორ გიშველო, როგორ?!

2008 წელი



\* \* \*

კაცი ქალს მისჩერებია,  
ქალს წაეგიდა ალები,  
მერე კბილებში გამოსცრა:  
„მიწამ შეგიჭამოს თვალები”.



ამ სიყვარულით  
გუძღვნი მ . . . ს

მოლოდინსაც აქვს ბოლო,  
ამ ღმერთს შეხედე, გოგო,  
დრომ შენც დაგატყო კვალი,  
როგორ გავუძლო, როგორ?  
შენგან თავი ვერ დავიხსენ,  
სული არა და არ გთმობს,  
რა ცოტა დარჩა პიდევ  
საცაა გზებზე დათოვს;  
რომ ვიარსებო, ვიყო,  
რამდენი გძებნე, ერთო,  
ამ სიყვარულით მომკალ,  
ამით დამმარხე, დმერთო!

2007 წელი



## აწეწილია

აწეწილია  
დრო და ცხოვრება,  
ჭირს საარსებო  
გზების მიგნება,  
დღე დამის მსგავსი  
ფიქრიც დამეს პგავს,  
სულის სიმშვიდე  
როდის იქნება?

2006 წელი

## დედა ანთიას



სასჯელად ყოფნა  
სააქაოში,  
ხსოვნად წარწერა  
საფლავის ქვაზე,  
თქვენი ლოცვები  
ღვთის ნუგეშია  
და იმედია  
ცოდვების გზაზე.  
ღვთის სადიდებელ  
მადლმოსილ სიტყვებს  
სჭირდება დიდი  
კეთილი გული,  
მრევლი თქვენ გისმენთ  
და თქვენგან სწავლობს  
სათნოებას და  
სიწმინდეს სულის.  
გიმზერთ – სიკვდილის  
არ მეშინია,  
ოუმცა ყოველ წამს



მოგელი საფრთხეს,  
თქვენი ფაქიზი  
ნადგაწით ვტპები  
და როგორია  
ვხვდები, სამოთხე.  
ყოველ ცისმარე –  
ვედრებით ცდილობთ  
ყური არ ვუგდოთ  
იუდას მსგავსებს,  
თქვენი ლოცვები  
ნებაა უფლის, –  
სულს რწმენითა და  
იმედით ავსებს.

2008 წელი.

## ზურაბ გაბუნიას ხსოვნას

მთარგმნელი, საოცრად ნიჭიერი. თარგმნა  
რუსულად ვეფხისტყაოსნის ნახევარი.  
გარდაიცვალა. დასრულება ვერ მოასწორო.  
თარგმანს საუკეთესოდ თვლიდნენ სპეციალისტები.

ვიდას გავანდო  
ფიქრი და დარდი  
რომ აღარ სტუმრობ  
ერთგულ მეგობარს?!  
სიტყვას, ჩვენს შორის,  
სხვა ფასი ჰქონდა,  
გვა, რა ვუთხარი  
საწურთოს, ვერაგს!  
... წავლენ დღეები  
აქ, უმეგობროდ!..  
არ ეკარება  
გულს მავანთ როშგა,  
დავეხეტები  
სულ მარტო ძმაო,  
არ ლირს უშენოდ  
სიცოცხლე გროშად.

1988 წელი. თბილისი



## არ დავბერდები

მ . . . ს

არ დავბერდები,  
არ დავბერდები,  
ვიდრე შენ გეტრფის  
ჩემი სიცოცხლე,  
ვიდრე არსებობს  
ეს სიყვარული –  
ღმერთივით დიდი  
ყველაფრის შემძლე ...  
არ დავბერდები  
ვიდრე ხარ გულში  
და სიყვარულზე  
ლექსებს გიყვები,  
ვიდრე თვალები  
გიმზერენ მზისებრ  
და სანამ შენ ჩრდილს,  
შენ ლანდს მივყვები.  
არ დავბერდები  
ღვთისგან საჩუქრად



და საღოცავად  
სანამ შენ მყავხარ,  
სანამ ვიცოცხლებ  
ამ სიყვარულით  
და სანამ შენ ხარ,  
სანამ მიყვარხარ!

2005 წელი.



## ბებია შვილიშვილს

ასე ნუ დარბიხარ,  
შვილო,  
ჩემო პატარა  
ანცო,  
ფეხი მომტეხე  
ლამის,  
თვალი გაახილე,  
ჯაცო!..



## თავშესაფარი

დროს გატარება,  
სმა და ქეიფი,  
თასი, ჭინჭილა,  
დიდი ყანწები,  
ზარ-ზეიმები,  
მასკარადები,  
აურზაური,  
ერთი ბაზარი!..  
ჩვენი ცხოვრების  
საყტუარაა,  
კომედიაა,  
თავშესაფარი . . .

1996 წელი



იმდერეთ  
ქართულად

მიღიონები  
მდერიან  
ინგლისურად და  
რუსულად,  
თქვენც ამ ენაზე  
მდერიხარ?  
იმდერეთ ხალხო  
ქართულად!  
მანქურთებად ნუ იქცევით  
ნუ გადიქცევით  
წარსულად,  
ენა უფლის გვაქვს მზიანი  
იმდერეთ, ხალხო,  
ქართულად!

## მონატრება



შენს ნაფეხურებს  
დავეძებ ყველგან,  
ჩემი ცხოვრების  
სიყრმის ბილიკზე,  
ო, როგორ მიჭირს  
ნეტავ იცოდე,  
ყოფნა უკაცერ  
დედამიწაზე!  
ეხლა გიხსენებ,  
როს კუმზერ ირგვლივ  
უღვთოდ დანგრეულ  
ჩვენს რწმენის კედლებს,  
ო, როგორ მინდა  
სულ ერთხელ მაინც  
რომ ჩემი სიყრმის  
ბილიკზე შეგხვდე.

1996 წ.



## არ წყალობს

ხალხი არ წყალობს  
საწყალს!  
გერც მის ჭირ-ვარამს  
ხედავს...  
სამართალს ფეხქვეშ  
თელავს,  
ტაშს უკრავს ქურდს და  
მეძავს!



\* \* \*

ოუმცა გივლიდი,  
გიფრთხილდებოდი,  
სიცოცხლევ ჩემო,  
მაინც მისხლტები,  
ვერ შემაძულებ  
სიყვარულს ქვეყნად –  
ამით ვიცხოვრე,  
ამით მოვკვდები.

2007 წელი



## კვალი

კაცი, რომელშიც  
არ ჩანს ნათელი,  
არ ჩანს იმედი  
და რწმენა მერმის,  
ის, გადამწვარი  
თივის ზეინია,  
კვალია მხოლოდ –  
ცეცხლის და ფერფლის!



## გაურბიან

კეთროვანივით გაურბიან  
სშირად სიმართლეს ! . .  
უფრო-დუმილი, ჩუმად ყოვნა  
თუ ემეტებათ,  
საითაც უნდათ ბედის სასწორს  
გადასწონიან –  
სარგებლისათვის მოისვრიან  
ჰეშმარიტებას.



## შენი სიყვარული

გუძღვნი მ . . . ს

შენს სიყვარულზე არასოდეს  
არ მიფიქრია!..  
სულ ორი სიტყვა, ორად ორი  
გახდა მიზეზი;  
ანთებულიყო სიყვარულის  
გულში ლამპარი  
ეს ორი სიტყვა შენ გეპუთვნის  
იმ დღეს შენ რომ სთქვი.  
სიტყვებმა შენმა მაგრძნობინა  
ის სითბო სულში,  
სინაზე ქალის, მე რომელიც  
ვიპოვე შენში.  
სწორედ ამ გრძნობამ ამ სინაზემ  
მომხიბლა მაშინ,  
გავიდა წლები სანატრელო,  
შეერთდა მტკერში,  
ველი მას მერე ამ სინაზეს  
და ვეძებ შენში.



## მიტოვებული სახლები

დგანან სევდით და მოწყენით  
შვილებს ელიან დევნილებს,  
სამშობლო მიტოვებულებს,  
გაქცეულ გადახვეწილებს.

2007 წელი.



## სად არის ჩემი თბილისი

ქალაქში წაველ, ვიხილე  
ქალაქი დარდით მოსილი,  
იყო სმოგი და ზიგზივი  
და მათხოვრებით აგსილი.  
ლიმილი არსად მინახავს  
დაღონებულან ბავშვებიც,  
ყველგან სევდაა, წუხილი,  
სახლებში, სკვერში, ქუჩებში.  
სკამზე ჩამოვჯექ ძველ ბაღთან  
ხვატი იყო და ივლისი,  
სად არის მე რომ მიყვარდა,  
სად არის ჩემი თბილისი?!  
მესმოდა, თითქოს ვიდაცა  
კვნესოდა ხეთა ფოთლებში,  
ნუგაები გერსად გერ ვპოვე  
ცრემლით წამოველ სოფელში...



## მუხტალო ჟამო

ვუმზერ ტკივილით  
მეგობრის თვალებს,  
ო, რა სასტიკი,  
მოკლე ხარ, წამო!  
ადრე ამ თვალებს  
სხვა შუქი ენთო . . .  
ეს შენ ჩაძერე  
მუხტალო ჟამო!

2002 წელი.



## მიყვარს

გ . . . ს

საშმობლო მიყვარს, ჩემი ფუძე  
მშობელი დედა!  
მიყვარს სიცოცხლე და იმედი –  
ყვავილს რომ ვხედავ.  
ნათელი მიყვარს, სიხარულის  
ამბის ბარათი,  
ერთი ავი და ანჩხლი გოგო  
ჩემი ჯალათი.



## სულ ჩემთან

გ . . . ს

შენს მოფერების წუთებს  
არასდროს დავითვლიდი,  
არსად და არაფერზე  
არასდროს არ გავცვლიდი!  
მოვაგროვებდი ერთად  
არვის გავრევდი წილში,  
სულ ჩემთან იქნებოდა  
ღვიძილშიაც და ძილშიც!



## აღდგომის მაცხოვრის ეკლესია დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი

ერის ბურჯად და  
ღვთის სადიდებლად  
დგას მადლმოსილი  
ტაძარი წმინდა,  
დგას აგებული  
წმინდა დიმიტრის,  
ამ ტაძრის მადლით  
შემოსვა მინდა.  
მოვსულვარ შენთან  
კურთხევად შენდა,  
ერთი ცოდვილი  
ლოცვად, ვედრებად,  
მაცხოვრე ღმერთო,  
ისეთი მადლით,  
მუჭა მიწა ნუ  
დამეყვედრება!

2006 წელი



## შეკითხვა

ფული თუ გიყვარს? –  
მეგითხებიან.  
– რატომაც არა! –  
ლიმილით ვამბობ,  
მაგრამ ძვირფასო,  
არა იმისთვის,  
რომ ვინმეს ვაგნო,  
ან ვსვა და ვჭამო.  
ან არამზღა  
გახდები ფულით  
ან გზას იპოვნი  
ლვთის სათნოების,  
ანდა მიხვდები –  
მხოლოდ ხარ ქრთილი  
და მღილი, მტვერი  
ამაოების.  
თუმც არ მსურს ვფლანგო  
დრო დაუთვლელად  
და არც უაზროდ  
სადმე ვირბინო,  
მეტი შანსი გაქვს  
კაცს სიკეთისთვის –  
ყალბი ცრემლებით  
არ დაგიტირონ!

2001 ო.



## არ შემიძლია

გ . . . ს

წავიდე?! – ეს გხურს?  
სულ მიგატოვო?  
დავთრგუნო ჩემში  
ის რაც ვიგრძენი?  
ვისაც ვაღმერთებ  
როგორ ვუარვყო!  
თუ კი გულს არ სურს –  
არ შემიძლია!!!  
რომ არ მენახე,  
არ ყოფილიყავ,  
ხატებას შენსას  
მოვიგონებდი,  
ვიგლიდი ვიდრე  
არ გიპოვნიდი,  
ვიდრე შენ ხმას არ  
გავიგონებდი!

2006 წელი



## შეგუება

გამორჩეულებს  
ასე რად მტრობენ,  
ასე რად გვიპყრობს  
ბოლმა და შური?!  
სიმდაბლეს ჩვენსას  
შევგუებულვართ, —  
დავსებული გვაქვს  
გონი და ყური!

1992 წელი



## ზოგიერთებს

სხვისი კარნახით  
ნუ მეტყვით სალამს!..  
ნუ ამოძირკვავთ  
საკუთარ ფესვებს,  
თავისუფლების  
ნუ დათმობთ ალამს  
და მოყვასს ავად  
ნუ გაჰკრავთ ეშვებს.  
ნუ შეურაცხყოფთ  
საკუთარ ჯილაგს,  
ტიკინებად ნუ  
იქცევით, კოჭად . . .  
როცა თაღლითი  
და ვიღაც ბველი  
ეძებს ოქროს ზოდს  
და ფულებს ბოჭავს...  
არ დაგამსგავსოთ  
სეთურმა იმ ხალხს,  
ვინც აქ სამადლო  
ლუკმისთვის ცხოვრობს,  
ვინც სინდისს ვერ გრძობს  
იმედს კლავს, ხვალის,  
ვინც მხოლოდ თავის  
მუცლისთვის ოხრობს!

2008 წელი

## ისევ

თ . . . ს

ეს სიყვარული  
ძველი,  
მკლავს და მაწამებს  
ისევ,  
ეს სიყვარული  
წმინდა,  
ლურჯი – კამპამა  
ცისებრ.  
არ ფერმკრთალდება  
ცხრება,  
ციმციმებს ნაზად  
ისევ,  
გერ დავემალე  
მალვით;  
გერ გავექეცი, მზისებრ.  
გერ დაგივიწყა  
გულმა,  
მიყვარხარ, რა ვქნა,  
ისევ!





## დაღამებულზე

დაღამებულზე ვიცხოვრე,  
დაღამებულზე მივდივარ . . .  
ფუჭი, უზრო ყოველი  
ისიც არ ვიცი ვინა ვარ.  
სატკივარი ვერ დავლიე  
თითქოს სიცოცხლის ქირით ვარ,  
სხეულს ცოდვებით გიტოვებო,  
სული თან მიმაქვს, მივდივარ!

2006 წ.



თა

გაზაფხულის სუნთქვა  
ათბობს მწველი,  
ალამაზებს ცისფერ  
ზეცას მზიანს,  
თვალუწვდენელ  
მინდორ ველებიდან  
სურნელება  
ნიაგს შორით მიაქვს.  
გააღვიძებს სულში  
ლამაზ გრძნობებს,  
გულისწოროან  
პაემანზე მიაქვთ,  
სურნელებას,  
სილამაზეს აფრქვევს,  
სიყვარული და  
სინაზე ჰქვია.

1986 წელი



## სხვა ვინ დაგიწერს

ზ . . . ს

ეგ თმები დამეს რომ გიგავს  
და ეგ თვალები გიშერის,  
განა სულ ეგრე იძნინებს  
მე რომ მიყვარს და ვგიჯდები?!  
სხვა ვინ დაგლოცავს ჩემსავით  
ასე რომ მკლავ და მაწამებ,  
ან ვინ დაგიწერს, მითხარი,  
ამ სიყვარულის ბარათებს.

2005 წელი.

## გული არ ცდება

მ . . . ს



გრძნობები წმინდა, უსიტყვო  
ხომ იყო? – როგორ უარყოფ?!  
ბედმა ხომ ნახე რა უყო,  
სული ეპლებით გაუყო.  
გრძნობები – გულის შეცდომა?!  
– გული ხომ არასდროს ცდება?  
ბედის ჩარხს ვინ დააბრუნებს,  
ცხოვრება არ მეორდება.  
ნეტავი იმ დროს, იმ დღეებს,  
სხვა ეშხით რომ თენდებოდა,  
შვილებზე გარჯა და ფიქრი  
შენ უფრო დაგშენდებოდა.  
ასე ნეტავ ვინ გამოვალა,  
ვინ გაჭრა ბედის კარტიო,  
შეუნდოს, – უფალი განსჯის,  
მე ბოროტებას ვპატიობ!

2006 წელი.



## იმპერიულ რუსეთს

თქვენი შიშით და მტრობით  
ვეღარ გაგსულგართ კარში,  
ლამის დაიხრჩოთ ბოდმით  
ისევ თქვენივე შხამში.  
თქვენი ბოროტი ზაკვით  
ბევრმა ჩაიცვა თალხი,  
ოდესმე გადაგიხდით  
თვით თქვენი რუსი ხალხი!

1993 წელი



\* \* \*

შვილმა, შვილისთვის ქილა თაფლი  
მოხველა მეყიდა.  
ფული არ მქონდა, რომ მეშვეა  
ბევრი ვეცადე,  
შემოვიარე ყველა მხარე  
კარ-კარ ვიარე,  
გერსად ვიშოვე, არვის ქონდა  
ყველას შიოდა!!!  
თავს ვერაფერი მოვუხერხე  
ვიკავებ ცრემლებს,  
თავს განაჩენი გავუგზავნე –  
ვწყებლე და ვწყევლე ...


1993 წელი



## ჭიქა ლვინით

როს დარდი გვიპყრობს  
და როცა გვიჭირს  
თავს ვანუგეშებო,  
ასე სჯობს, ვფიქრობო,  
ამიტომ, ხშირად,  
ერთ ჭიქა ლვინით  
თავს ვიბრუებო და  
ურჩ ვნებებს ვიქრობო.

1991 წელი.



## ნუ მისცემ

ქუჩაში ბალდებს რა უნდათ?!  
დამათხოვრობენ საჭმელს! . .  
ღმერთო, უღირსებს ნუ მისცემ  
ხელისუფლების საჭეს!

2002 წ.



## გვდევნის მტერივით

გამოუტანა განაჩენი  
ბევრმა თავის თავს  
და დაუდამდა ეს ქვეყანა  
ძალზე ადრიან,  
ბევრმა იცხოვრა უგემურად  
დარდს და ვარამში  
და იძულებით გაემგზავრა  
მოუსავალში.  
ეს დრო ეს უამი უსულგულო  
გვდევნის მტერივით,  
თოპზე კი მოძმე ასხმარტალებს  
ფეხებს მწერივით.

2001 წელი.



## ავის თესვისთვის

ვინც მკვლელობებზე,  
დალადობებზე,  
ვინც სადიზმზე და  
სისხლაღრევებზე –  
სცენარებს წერენ!  
კინოს იღებენ  
და შეგნებულად  
წყალს რომ ამდგრევენ,  
დაუფიქრებლად  
ყველას დავსჯიდი,  
უზეობისთვის  
ჭკუის ხარჯვაზე!  
ავის თესვისთვის,  
ფულის გულისთვის  
და უსირცხვილოდ,  
დროის კარგვაზე.

2002 წელი.



## შენს წლებს

მ . . . ს

შენს წლებს მივტირი  
ჩემსას კი არა,  
შენ რომ გამკობდა  
და რომ გშგენოდა,  
მე რომ ჯვარს მაცვა  
იმ წლებს მივტირი,  
სად დაიკარგა  
ნეტავ ფერებად?!  
ეს შენ იყავი  
ის სირინოზი  
ჩემს გულის ძაფებს,  
სულს რომ აჩნია,  
ვისაც ვუძღვენი  
გულიც, სიცოცხლეც,  
ვისაც ვუძღვენი  
რაც გამაჩნია!

2008 წელი



## მეც იგივე ვარ

ის ვარ ის, რაც სხვა,  
მტვერი ვარ, ჭუჭყი,  
სიძულვილს აფრქვევს  
მაკე და ბერწი,  
მეც იგივე ვარ,  
მძულს ჩემი თავი,  
არარაობა, —  
მატლების კერძი.

1997 წელი



## არ დაგბრუნდები

სიკვდილის შემდეგ  
თუ კი მეღირსა  
წასვლა უფალთან  
მაღლა მე ცაზე,  
უკან წამოსვლა  
რომ მომისაჯონ  
არ დაგბრუნდები  
დედამიწაზე!  
რაც ვნახე ისევ  
აღარ მსურს ნახვა,  
სადაც უწყალოდ  
გამყიდეს, გამცეს,  
სიკეთისათვის  
ცოდვის შვილებმა  
დალოცვის ნაცვლად  
მახვილი ჩამცეს.  
აქ დარდის მეტი  
რა დამრჩენია,  
სადაც მომკლეს და  
სადაც მაწამეს,  
არ დაგბრუნდები ამ ჯოჯოხეთში,  
არ დაგბრუნდები, დედამიწაზე!

2000 წელი



## გერსად გავძლებთ

შენ უჩემოდ,  
მე უშენოდ,  
გერსად გავძლებთ  
დარდო,  
სახლში, კარში,  
ზევით, ქვევით,  
შენ ხარ ჩემთან მარტო.



## ცივი სამყარო

დღეს ჩვენ ცხოვრებას  
სხვა აქვს ელფერი,  
ხალხს იშვიათად  
გავახსენდებით,  
რადგან დაინგრა  
რწმენის კედლები  
სულს ძერწენ მხოლოდ  
წმინდა ხელები.  
სხვისი ტკივილი  
თუ არ გგგრის ცრემლებს  
უგულოდ აბა,  
მითხარ რა ხარო,  
უსულგულო და დადუმებული  
უპარებაა ცივი სამყარო.

1999 წელი



## სევდის სამყარო


სევდის სამყარო,  
სევდისა ხარო,  
ჩვენი სიცოცხლის  
ცრემლისა ხარო,  
ზღაპარი ხარო  
ლხენის ავისო,  
ზოგი ხმება და  
ზოგი ყვავისო.  
ხან გაგვიღიმებ,  
ხან გვემუქრები,  
მე შენ გგავარ და,  
შენ მე მგავხარო!

2001 წელი



## ეს მხოლოდ

სამშობლოზე თუ  
მშობელ დედაზე,  
ყველა სიმღერა და  
სიტყვა სიღრმის,  
ეს მხოლოდ მარტო,  
ეს მხოლოდ კარგო,  
ეს, პოეზიის  
ენაზე ითქმის!



## გახსოვს?

გახსოვს? უეცრად  
რომ მოგეხვივ  
და ალმოდებულ  
დაწვე გაკოცე,  
როგორ დაიბენ  
ჩემს თავხედობით,  
შეკრთი უეცრად  
და გაიოცე.  
მერე, ატირდი  
და გამებუტე  
ცრემლები მახსოვს  
შენი თვალების,  
მახსოვს ნაწყენი  
თვალების მზერაც,  
ის ლამაზი დრო -  
გამქრალ წამების.

1990 წელი



## სადღაა ის დრო

სადღაა ის დრო . . .  
ის რომანტიკა  
და მოწიწება  
სიმორცხვე ქალთა,  
კაცს რომ იზიდაგს  
დასაბამიდან  
და რაინდობაც  
გამქრალა კაცთა.  
დრო უსირცხვილო  
მძვინვარე ჟამთა  
გამხდარა სიძვა  
ეკრანის ქარგად,  
გამზეურება  
ყველა სიბილწის  
სამშობლოს ჩვენსას  
რომ აწევს დარდად.

2007 წელი



გ . . . ს

სიცოცხლევ ჩემო, სიყვარულო  
და თვალის ჩინო,  
შენ შეგიძლია გინდა მომკლა,  
გინდ დამარჩინო.  
შენი ტრფობა და სიყვარული  
ისე მაგიუებს  
ლამის ვიყვირო შეშლილივით  
მართლა ვიგიჟო.

2001 წელი



ვიდრე მოგავდები, წავალ,  
ჩემი პატარა სახლის  
შეკეთება მსურს მხოლოდ,  
თავი სადა მაქვს ახლის!  
ცოცხალი სანამ ვარ და  
ვიდრე ხელებსაც ვიქნევ,  
შეკეთება მსურს სახლის,  
მომასწროს ღმერთმა იქნებ.  
შეკეთება მსურს-მეთქი,  
მე არ ვაშენებ ვილებს,  
რომ ეს პატარა სახლი  
თავს არ დაექცეო შვილებს.

2006 წ.

## სუფრის პატრიოტებს



დიდი სახმისი, ყანწი, ჯამი თუ ბროლის თასი,  
უოგელ სუფრაზე სულ ისხმება პირამდე სავსე  
და საქართველოს სადღეგრძელოს სუსგვლა ერთად,  
სულმოუთქმელად, მონდომებით, ძირამდე სვამენ.

აპა, მოვიდა განსაცდელი, ხმა ისმის სროლის,  
ვის უყვარს ეხლა გამოჩნდება სამშობლო თვისი,  
ვისთვის გართობა იყო სუფრა და მუცლის ყორვის  
ვისთვის მიზანი დროსტარების და ფუჭი სიტყვის.

რისი სამშობლო, ვიდას ახსოვს გუშინწინ რა თქვეს,  
წყალს წაულია უსარგებლო სიტყვა და საქმეც  
და იწყეს მავანთ ძარცვა-გლეჯა საკუთარ ერის  
ავტომატებით, თოფით, ნიღბით, მოშვებულ წვერით.

ყვაველნებივით დაესიენ, ძიძნიან მამულს,  
უბედურება რადა გინდა ამაზე მეტი?!  
საკუთარ ქვეყნის აკლებაში მართავენ დავლურს,  
ვაი, თქვენს ჯილაგს, ქართველობას, შეგირცხვეთ

ღმერთი!



აქეთ ჩარჩები მამასისხლად ვაჭრობენ გზებზე,  
მოპარულ ზეთით, მაკარონით თუ კამფეტებით,  
დაცემულ მამულს ტალახივით ფეხებით ზელენ  
ვით გიჟი მოხუცს, რომ ჩააზელს წიხლს გამეტებით.

ადზევდა შური, სიძულვილი, სიხარბე, მტრობა,  
მძვინვარებს, როგორც შავი ჭირი ვის ახსოვს ერი,  
ხარობს მომხდური ჩვენი მტრობით ჩვენი ოხრობით  
ლტოლვილად იქცა ჩვენი მოძმე და ობლად ბევრი.

სიცოცხლე ჩაკვდა, თითქოს ხდება მეორედ მოსვლა,  
უდაბურ ქუჩის სევდა გულში ცრემლებად წვეთავს,  
შიმშილი, სუსხი, კაეშანი, ქალაქად, სოფლად  
თუ გადავრჩებით ამ ჭაობში დახრჩობას ნეტავ?

1993 წლის დეკემბერი



## გირი


გირი გირულად  
იქცევა,  
სხვას გერ ახერხებს  
გირი!  
იმას აკეთებს  
რაც იცის,  
რა არის  
გასაპირი?!



## საიუბილეო

კლიმენტი სუთიაშვილს

გამოვლილ გზებზე მოვიდა თოვლი,  
ეპოქა რისხვის წავიდა ძველი,  
ტკივილიანი და სანატრელიც  
სამოცდაათი გავიდა წელი!  
ასაკის ტკირთით მივყვები აღმართს  
ვათვალიერებ მინდვრებს და ქედებს,  
წლების მარცვლები დამებნა გზა-გზა  
ვერ მიპოვნია, ვეძებ და ვეძებ . . .



## დებატები

ერთი იწყებს  
და მეორეც იწყებს.  
მესამეც ერთვის  
და სამ ხმას გუსმენ,  
სამივეს ვლანძღავ,  
სამივეს გუთმენ  
და მაინც ისევ  
სამივეს გუსმენ.  
გოჯით არცერთი  
უპან არ იხევს,  
ერთურთს ტაცებენ  
სიტყვებს პირიდან,  
იწყეს კამათით,  
მორჩენ ყვირილით,  
ასე გრძელდება  
კვირის კვირიდან.

2005 წელი



## გიერთგულებდი

გიერთგულებდი  
მთელი სიცოცხლე,  
რომ არ გეპეთოს  
ნიდაბი-გარსი,  
ვინ იცის ნეტავ  
იქნებ ეს არის  
ჩვენი სიცოცხლის  
და ყოფის არსი.

ნურას იდარდებ ხვალ რა იქნება  
ყარაჩოღული



მოგვეპარება  
ბინდი უეცრად  
დაიფარება  
მისგან ყოველი,  
აქ დროებით ვართ  
როგორც სტუმარი  
ჩირად არა დირს  
წუთისოფელი.  
ნურას იდარდებ  
ხვალ რა იქნება,  
მოვა რაც ისეც  
მოსასვლელია,  
არავინ უწყის  
რისთვის მოვედით  
ყველა სტუმარი  
წასასვლელია.  
აგერ, ხის ტოტზე  
ჩიტი რომ გალობს,  
მზიანი დილა  
რომ უხარია,  
დავტკბეთ ჩვენც მისი  
ტკბილი გალობით  
და შემოვძახოთ  
ერთი არია.

1996 წელი



\* \* \*

გაგროვებ წარსულ  
დღეების  
ხსოვნით გავსებულ  
ფუთებს,  
ყოველდღიურად –  
გაცილებ  
ღვთისგან ნაჩუქარ  
წუთებს.

2004 წელი.



\* \* \*

დედაო მიწავ,  
დედაო მიწავ,  
სიყვარულის და  
მტრობის ხარ კერა,  
გვაჩენ, გვაცოცხლებ,  
გვალხენ, გვაომებ,  
შენი ტყვე ვართ  
და შენი ვართ წერა.

1994 წელი



## ველი ყოველ წელს

ველი ყოველ წელს მოუთმენლად,  
ველი გაზაფხულს,  
იებით მორთულს, უფრო ლამაზს  
უფრო ელვარეს,  
შუქს ველი ნათელს, იმედს ველი  
ამ ტიალ გზაზე,  
ზამთარი გრძელი საწამებლად  
ამ გზას რომ დასდევს,  
ველი ყოველ წელს მოუთმენლად,  
ველი გაზაფხულს,  
გულში სინაზეს, სიყვარულს და  
იმედს რომ ბადებს.

1998 წელი

## სასაფლაოზე



ბინდი ეშვება საფლავებზე  
ცის კამარიდან,  
აქ უფრო მძაფრად შეიგრძნობა  
ამაოება,  
ამქეყნიური ბედისწერის  
უგუდმართობა,  
გამრუდებული ჩვენი ყოფა  
ჩვენი ზნეობა.  
ვინ აუშენა მარმარილოს  
ციხე-კოშკები,  
ქურდს ან მექრთამეს ნარკომანს თუ  
ვიღაც ძველ ბიჭებს,  
ვინ აუშენა გალავანი  
გრანიტის ქვებით  
ის ვინც ფულს ცნობდა მხოლოდ ქვეყნად  
და დვინის ჭიქებს?!  
ჩარჩ-მეინახნი აქაც ფართოდ  
იგებენ ლოგინს,  
„წინდახედულნი“ ადგილს დობვენ  
საფლავის წინაც,  
სააქაოში ამ ცხოვრებას  
აუღეს ალდო,  
საიქიოშიც სურთ ლამაზად  
მოიწყონ ბინა.

1985 წელი



ცხოვრება ჩემთვის დარღია  
წინ გადაშლილი კარტია  
სიყვარული და სიკეთე  
არავინ არ მაპატია.

2001 წელი

## ზღვა



თავის ხვაშიადს არ გაამხელს  
ზღვა არასოდეს,  
ჩამარხული აქვს საიდუმლო  
ბობოქარ ტალღებს,  
ჩაუდენია ბოროტება  
თუ კი რამ ოდეს,  
დაწყნარებული დელვისგან  
ხანდახან თითქოს,  
როგორც მოვლემარე დაქანცული  
ვეშაპი ფშვინაგს.  
ხან კი უეცრად ცას და მიწას  
უქადის დანოქმას  
ქაფმორეული ტალღებს გრგვინვით  
ნაპირზე აფშვნის,  
ხან წინ მიიწევს გააფთრებით  
ხან – უკან იხევს,  
ხან მიმზიდველად უციმციმებს  
მკერდი ძლიერი.  
თუ მიენდობი გულგადაშლილს  
დაგიგებს მახეს,  
როგორც თავნება და ლამაზი  
ქალი ცბიერი.


1987 წელი



\* \* \*

სამშობლო მიწა არ არის,  
აქ წინაპრები მარხია!  
სამშობლო მთები არ არის  
სამშობლო, ჩემი ხალხია!

2007 წელი



## მარტოობა

ეჰ, მარტოობავ,  
ზოგჯერ გიჩივი,  
რადგან მინდება  
სხვასთან ბაასიც,  
შენთან დარჩენაც  
ხშირად მინდება  
რომ ჩავიხედო  
საკუთარ არსში.

ეჰ, მარტოობავ,  
შენ არ ხარ მარტო,  
მეც ხომ შენთან ვარ  
ფიქრის მელანით,  
გავრბივართ შენგან  
ვბრუნდებით შენთან  
და შენთან ერთად  
ვკვდებით ყველანი!

1997 წელი



## ჩვენი ცხოვრება

თუმც კი ზღაპარს გავს  
ჩვენი ცხოვრება,  
სან – სიხარულით,  
სან – მიდის დარდად,  
მაგრამ ზღაპარი  
სულაც არ არის  
და არ მთავრდება  
ყოველთვის კარგად.

1999 წელი

## სასაუზემეში



სასაუზემეში შეველ,  
პერძი ვითხოვე ცხელი,  
პერძიც და პურიც დავდევი  
იდგა მაგიდა გრძელი.  
მერე ვითხოვე ლუდი,  
ლუდი კამპამა შემხვდა,  
თვალს არ ვუჯერებ ვხედავ –  
ჩემს კერძს ვიღაცა ხვრებდა!  
თავს დავადექი, მითხრა:  
– მომკალი, ძმაო, მშია! . .  
გული მეტკინა, ვფიქრობ  
ეს ხალხი რა დღეშია?!  
გუთხარ: შეგარგოს ღმერთმა,  
მინახავს კარგიც, ცუდიც,  
ჰა, დაბყოლე ესეც –  
და წინ დავუდგი ლუდიც.

1994 წელი



## გუშინ

გუშინ არ იყო უდარდელად  
რომ ვიცინოდი?!  
ეხლა რომ ვწყევლი ჩემს გაჩენას,  
სიბერეს, ასაკს...  
მალე ბადრაგით წამიუგანენ –  
როგორც პატიმარს  
და მომისჯიან სამუდამოდ  
ბნელ დახმულ საკანს!

2008 წელი

## მლიქვნელებს

დიდ კაცს დაჟყვება  
მლიქვნელთა ხროვა,  
მჩატედ, მსუბუქად,  
ვითარც ბუმბული.  
თუ გინახიათ  
მათი მიმოხვრა  
მათი სახე და  
მათი კუნკული?!  
შეშურდებოდათ  
ტანწელის რხევა  
ტანმოვარჯიშეთ  
და ბალერინებს,  
გაწვრთნილ დაგეშილ  
მაძებარ ძაღლებს  
გეშის მიხედვით  
ვინც მანევრირებს!...  
ნადავლისათვის  
არ იშურებენ  
ყალბ სიტყვებსა და  
ყალბ თაიგულებს,  
ო, როგორ გვანან  
თავისი ქცევით  
ძუქნა ძაღლებსა  
და მაიმუნებს.

2000 წელი



## ბედნიერება

ბედნიერება  
ყოფნაა მთებში  
მინდორ ველების  
ყვავილთა ფერში,  
ამომავალ მზის  
ფერთა გამაში,  
და ზღვის ბობოქარ  
ტალღების ხმაში.  
ბედნიერება  
ყოფნაა ცის ქვეშ,  
ტყეში, ჭალაში,  
ლიკლიკა ხევში,  
მაგრამ ყველაზე  
ტბილი და ბევრი  
ბედნიერება  
ვიპოვე შენში.

2005 წელი

ჩემო საბრალო  
საქართველო



ჩემო საცოდავო,  
დაფლეთილო,  
ჩემო სალოცავო,  
საქართველო,  
ჩვენ ხელთ უპატრონოდ  
რომ იქცი  
რითი გიწამლო  
და გაგამთელო?  
როგორ დაგჯიჯგნეს და  
დაგაძიეს,  
ჩემო საყვარელო,  
სადარდელო,  
გახდი მოღალატის  
გამცემების  
თაღლითების ხროვის  
სადღეგრძელო.  
ყველამ შესაჭმელად  
მოგინდომა  
რითი განუგეშო,  
აგამდერო,  
ჩემო საწყალო,  
ნაგვით ავსილო,  
ო, ჩემო საბრალო,  
საქართველო...

2009 წელი



## მენატრები

გ . . . ხ

მენატრები და –  
მოვდივარ შენთან,  
თვალი შეგავლო  
მსურს ერთი წამით...  
მოწყურებული  
წყურვილს ვიოკებ,  
თავს ვიტყუებ და  
ვმშვიდდები ამით.

2009 წელი



## ჩემი გენი და ჯიში

ნუგზარ გელაშვილს

მოულოდნელად  
შევხვდი ჩემს ჯილაგს! . .  
მომხიბლა თბილმა  
მისმა ღიმილმა,  
გამოვიკითხეთ  
ფუძე საძვალე  
ორივ დაგვზაფრა  
სისხლის ყივილმა.  
ჩვენი წინაპრის  
დახუცული კვალი  
გერ გადაშალა  
დროთა მახვილმა  
და ააძგერა  
მკერდში გულები  
მამა-პაპათა  
გამოძახილმა.

1995 წელი



## მ . . . ს

რას არ ვიზამდი იმისთვის  
რომ შენთან ერთად ვიყო,  
რომ შენთან ერთად ვიცოცხლო  
შენი ტკივილით ვიყო.  
მაგრამ ბედს საით გავაქცე  
ანდა სურვილებს გულის  
როგორ ვიცოცხლო უშენოდ  
ჩემო საყდარო სულის.

2008 წელი



## არ დაიჩოქო

აწ უკვე გარდაცვლილ მურად ღონდაძეს

ეჰ, რამდენი დრო გასულა ძმაო,  
ხომ არ დაგდალა სიმძიმემ წლების,  
ქარიშხლიანმა დღეებმა ჩვენმა  
ნაღველმა, დარდმა სიყალბემ გზების?

გიდრე გცოცხლობთ და გიდრე გართ ერთად  
გიცი დარჩება ეს ძმობა ჩვენი,  
გიცი, დამხვდები ალალი გულით,  
არ დაიჩოქო, ჭირიმე შენი!

შენთან ვარ ჭირში, რა ვთქვა იმათზე  
ვინც კაცობას თმობს ჭიქა არაყზე,  
ვფიცავარ გამჩენს ყოფნაც კი ჩემი  
არ მსურს უშენოდ, ამ ქვეყანაზე!

2002 წელი



\* \* \*

კავკასიონის  
ქედებო,  
ქედებო, თეთრო  
გედებო,  
ჩემი სამშობლოს  
კედლებო,  
ჩემი სამშობლოს  
ედებო!



\* \* \*

ქუჩურ ჟარგონით  
დგამენ პიესებს  
და ჩვენ ეროვნულ  
ღირსებას კლავენ,  
ქუჩური ყოფით  
და მანჭვა გრეხით  
აულტურას ჩვენსას  
ასაფლავებენ!



\* \* \*

ნაცნობ ქალს გადავეყარე  
წყაროს წყალივით ლიკლიკებს,  
კითხვებზეც პასუხს თვითონ სცემს  
სულ იცინის და კისკისებს.



## ნეტავ მაღირსა

ზ . . . ს

ნეტავი იმას მაღირსა  
შენ მომიგონო წასული,  
გიხილო დარდით შავებში  
შენ ჩემს საფლავზე მოსული.  
მე კი სიყვარულს სახსოვრად  
შენ დაგიტოვებ ლექსებად,  
გეტყვის რაც მე ვერ გითხარი,  
გეტყვის სევდიან ცრემლებად.



## ვუძღვნი

### ბატონ რევაზ თუმანიშვილს

ამაოების

ეტლში შებმული

სტვენით მიქრიან

წლების რაშები,

ტკივილი, ტვირთი

გარდასულ დროთა

ამაგი, ლვაწლი,

სკოლა, ბავშვები.

გაგახსენებენ

ძველისძელ კადრებს

მოლანდებათა

ლურჯი ხედები,

წარსულში დაგრჩა

ნათელი კვალი,

წინ – ნისლიანი

გადასახედი.

## პაპა

ჩამომიჯენდა  
ურმის კოფოზე  
მხარზე დაკოურილ  
თითებს მომხვევდა  
მაამო, ჰეის  
ძახილით ნელა  
სოფლის ორდობეს  
გაუყვებოდა.  
ამოიღებდა  
თუთუნს ქისიდან,  
გაჭვარტლულ ჩიბუხს  
გააბოლებდა,  
მივგორაობდით  
ქვებზე რიხინით  
დილა ადრიან  
ჩიტოა სტვენითა.  
კალოობაზე  
მივყავდი პაპას  
მიყვარდა კევრზე





ხტუნვა, სრიალი,  
პურის ლეწვაში  
გვაღამდებოდა –  
რა ტპბილი იყო  
ის დრო, ტიალი!  
უპან იგივე  
გზით ვბრუნდებოდით  
ურმის კოფოზე  
ჩამოსკუპული,  
დაქანცული და  
ნაშიმშილარი  
სახე მტვრიანი  
ჩამომურული;  
მეტყოდა: სახრე  
დაიჭი, ბიჭო,  
პა, გაუჯავრდი  
ამ ზანტებს ეგრე,  
–შენ გენაცვალოს  
პაპა, მაგ მკლავში,  
კაცი მეზრდები  
პატარა მეხრე!

## მასწავლებელი



მასწავლებელი,  
სათაყვანები,  
ახლა ბაზარში  
ძველმანით ვაჭრობს,  
ჩამოხევია  
წინ გულისპირი  
სადღაც ბუნაგში  
სახლობს და ზამთრობს.  
დადის მდუმარედ,  
არვის აწუხებს,  
ცხოვრება მისი  
ავსილა ბნელით  
ლუკმა პურისთვის  
ქუჩაში კაცი  
ბევრჯერ უნახავთ  
გაწვდილი ხელით . . .  
მასწავლებელი! . .



ერთ დროს ცნობილი  
ნიჭიერი და  
მათემატიკი.  
სასტიქ დროებას  
გარეთ უსვრია  
და ცხოვრობს ახლა  
სხვა თემატიკით.  
სამშობლოვ ჩემო,  
ზუგარის ჟამია,  
შეგხსნეს ჯავშანი –  
დრო კბილებს გვასობს,  
სიცოცხლე – მკვდარი,  
დაღუპულია  
როცა ღირსება  
ქვეყნად არ ფასობს.

## მეგობარს

### ჯანიკო მუზაშვილს



ეს სიმფონია  
სულია მხატვრის,  
როგორც კანდელი  
გულს რომ გინთია,  
გზა შემოქმედის  
გზა უპვდავების  
სადაც გიდოდა  
ბერი მინდია.

ერთად, ცალცალკეც,  
გაუკვდალავი,  
გზები ცხოვრების  
ბრძოლით გვივლია,  
ავი ზრახვებით,  
მომმის დალატით  
ზღვარი კაცობის,  
არ წაგვიშლია.



ბევრმა ჯოჯოხეთს  
ვეღარ გაუძლო,  
რას იზამ, ძმაო,  
ეხლა ომია,  
ძველ მეგობრებში  
შენდა შემომრჩი  
ბავშვობიდან ვინც  
გამომყოლია.

2009 წ.



\* \* \*

თუ არ ვიყავი  
ზოგჯერ გულწრფელი  
პატიებას გთხოვთ  
უდირსს არ ვამკობ,  
სისუტეს ჩემსას  
ვებრძვი, თუმც ხშირად,  
ენა თვალომაქცობს,  
გული სხვას ამბობს.

* * *	9
ციხის ბალადა	10
სამშობლო	17
გადახვეწილ ქართველებს	18
ყველა მიყვარდით	19
მადლობა სიყვარულისთვის	20
მოძმეთა ცხოვრება	21
სიმკაცრე	22
* * *	23
ცისკენ წაიღო ციმციძ	24
ნოტი სიყვარულისა	25
ღამის სიზმარი	26
6. მარტინენკოს	27
ლრუბლებო, საით მიღიხართ . . .	28
სამშობლო	29
ლუპა და ლედა	30

გულის პასუხი	31
სინათლისკენ	32
როგორ გიშველო	33
* * *	34
ამ სიყვარულით	35
აწეწილია	36
დედა ანთიას	37
ზურაბ გაბუნიას ხსოვნას	39
არ დავბერდები	40
ბებია შვილიშვილს	42
თავშესაფარი	43
იმდერეთ ქართულად	44
მონატრება	45
არ წყალობს	46
* * *	47
კვალი	48
გაურბიან	49
შენი სიყვარული	50

მიტოვებული სახლები	51
სად არის ჩემი თბილისი	52
მუხთალო ქამო	53
მიყვარს	54
სულ ჩემთან	55
აღდგომის მაცხოვრის ეპლესია	56
შეკითხვა	57
არ შემიძლია	58
შეგუება	59
ზოგიერთებს	60
ისევ	61
დაღამებულზე	62
ია	63
სხვა ვინ დაგიწერს	64
გული არ ცდება	64
იმპერიულ რუსეთს	66
* * *	67
ჭიქა დვინით	68

ნუ მისცემ	69
გდევნის მტერივით	70
ავის თესვისთვის	71
შენს წლებს	72
მეც იგივე ვარ	73
არ დაგბრუნდები	74
ვერსად გავძლებო	75
ციფი სამყარო	76
სევდის სამყარო	77
ეს მხოლოდ	78
გახსოვს?	79
სადღაა ის დრო	80
გ . . . ს	81
* * *	82
სუფრის პატრიოტებს	83
ვირი	85
საიუბილეო	86
დებატები	87

გიერთგულებდი .....	88
ნურას იდარდებ ხვალ რა იქნება ....	89
* * *	90
* * *	91
კელი ყოველ წელს .....	92
სასაფლაოზე .....	93
* * *	94
ზღვა .....	95
* * *	96
მარტოობა .....	97
ჩვენი ცხოვრება .....	98
სასაუზმეში .....	99
გუშინ .....	100
მლიქვნელებს .....	101
ბედნიერება .....	102
ჩემო საბრალო საქართველო .....	103
მენატრები .....	104
ჩემი გენი და ჯიში .....	105

გ . . . ს .....	106
არ დაიჩოქო .....	107
* * *	108
* * *	109
* * *	110
ნეტავ მაღირსა .....	111
კუძღვნი ბატონ	
რევაზ თუმანიშვილს .....	112
პაპა .....	113
მასწავლებელი .....	115
მეგობარს ჯანიკო მუზაშვილს .....	117
* * *	119